23/03/2020

პაატა იმნაძე: “მეჩვენება, რომ მორწმუნეების დევნის კამპანია ხომ არ იწყება ქვეყანაში”

მეჩვენება, რომ მორწმუნეების დევნის კამპანია ხომ არ იწყება ქვეყანაში?“ – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ პაატა იმნაძემ განაცხადა.

მისი თქმით, რეკომენდაციები ეხება ყველას.

„ჯერ ჩინელებზე იყო რაღაც და კიდევ კარგი მედიას სწორი პოზიცია ეკავა, იცავდა ჩინელებს უსაფუძვლო თავდასხმებისგან. ახლა მეჩვენება, რომ მორწმუნეების დევნის კამპანიაა. ურწმუნო მორწმუნეს ვერასოდეს ვერ გაუგებს. სხვადასხვანაირად უყურებენ ისინი ცხოვრებას. კომუნისტების პირველ ეტაპზე იყო მებრძოლ ღვთის მგმობავთა კავშირი და ასეთი მეთოდებით არ შეიძლება ეკლესიასთან ბრძოლა. რეკომენდაციები ყოველთვის იყო და არის. რეკომენდაციები ეხება ყველას, მორწმუნეს, ურწმუნოს, ეკლესიურს, ანტიეკლესიურს, ეკლესიასთან მებრძოლს, ეს ყველას ერთნაირად ეხება“, – განაცხადა იმნაძემ ტელეკომპანია “პირველის“ ეთერში.

dogma.ge